№2782 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა ენოვანი თარჯიმნების მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს სხვადასხვა ენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვა.

2. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილი**

მოვალეობის შემსრულებელი